საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

01/09/2025

MES 9 25 0001109402

გადაწყვეტილება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 აპრილის №436819 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის", "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, კერძოდ 1.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, რომ IBSU-მ არსებული სწავლის შედეგების ჩარჩოს საფუძველზე განახორციელოს შედეგების ფორმულირების, რუკების შედგენისა და შეფასების სტრუქტურირებული, პროგრამებს შორის მიმოხილვა, რათა უზრუნველყოს ვერტიკალური პროგრესის როგორც აშკარა, ასევე სისტემატურად ინტეგრირება მე-6, მე-7 და მე-8 დონეებზე. ეს პროცესი უნდა ფოკუსირებული იყოს კონცეპტუალური ჩარჩოს გაძლიერებაზე ბაკალავრიატიდან დოქტორანტურამდე და საგანმანათლებლო კლასტერში პროგრამებს შორის თანმიმდევრულობისა და ურთიერთშემავსებლობის მაქსიმიზაციაზე" - გადაიტანა რჩევების ნაწილში.

ასევე, რჩევების ნაწილში გადავიდა 1.4 კომპონენტის შემდეგი რეკომენდაციები:
"ზემოთ მოცემული რეკომენდაციები პროგრამა 2-ისთვის აქაც თანაბრად გამოიყენება, დამატებითი აქცენტით იმის უზრუნველყოფაზე, რომ ინტერნაციონალიზაციის მიზნები შეესაბამებოდეს შესაბამისად მრავალფეროვან შემთხვევის კვლევებს, ინკლუზიურ პედაგოგიკას და კულტურათშორის პერსპექტივებს";
"რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გააძლიეროს გლობალური განათლების მმართველობის ჩარჩოების არტიკულაცია და გააფართოვოს მრავალენოვან და მულტიკულტურულ სასწავლო გარემოში ლიდერობასთან დაკავშირებული გამოყენებითი შინაარსი".
შედეგად პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის", "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 1 სექტემბრის სხდომის №1109333 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის სტრუქტურის გადახედვა სექტორული ჩართულობის გაძლიერების მიზნით. კერძოდ, უნდა განიხილებოდეს ან თითოეულ სექტორში სტაჟირების ხანგრძლივობის გახანგრძლივება, ან სტუდენტებისთვის ერთ სფეროში სპეციალიზაციის შესაძლებლობის მიცემა. ეს კორექტირება ხელს შეუწყობს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განსხვავებულ ადმინისტრაციულ პროფილებთან შესაბამისობაში მყოფი უნარების უფრო სიღრმისეულ განვითარებას;
2. რეკომენდებულია ძირითადი კურსების ფარგლებში მოკლევადიანი, კურსთან ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტების - როგორიცაა მიზნობრივი, ადგილზე ვიზიტებისა და სტრუქტურირებული დაკვირვებითი დავალებების - გაძლიერება. ეს ხელს შეუწყობს თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებში გამოყენებას, ხელს შეუწყობს პროგრესულ კონტექსტუალურ ჩაღრმავებას და გააძლიერებს სტუდენტების აკადემიურ სწავლებასა და მათ მომავალ პროფესიულ საქმიანობას შორის შესაბამისობას. ადგილზე ვიზიტის დროს როგორც სტუდენტებმა, ასევე დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს ასეთი გაუმჯობესების დამატებით ღირებულებას.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 14 აგვისტოს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24[1]მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე